პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ხუთშაბათი, 5 თებერვალი 1925 წელი.

ფასი 3 შაური

# ტარტაროზი

№ 3—(6) გაზ. „მუშა“-ს ორკვირეული უფასო დამატება. № 3—(6)




ხედავ, პეტრე, აქ ქალაქში
ღმერთი კიდევ სწამთ ყმაწვილებს!

სოფელში კი ღმერთის სახელს
ვერ უხსენებთ ჩვენსა შვილებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შრომის ნაყოფიერება.

(წერილი ბათუმიდან).

ტარტაროზის ამ ქვეყნად მოსვლა ყველას კარგად ახსოვს.

ეს იყო გასულ წლის ნოემბრის შუა რიცხვებში.

ტარტაროზს ეს ქვეყანა „ვარაუდათ“ არ ჩაუბარებია. მინამ შეუდგებოდა თავის მოვალეობის ასრულებას, მან ჩამოიარა ყველა დაწესებულებები და გაეცნო მათ მდგომარეობას.

შრომის ნაყოფიერება ყველგან უმნიშვნელო იყო, რასაც დაწესებულებების უფროსები აბრალებდენ უმთავრესად **ზაფხულს.**

— მართალია, ბევრი ნაკლი არის— ამბობდა კომუნალურ განყოფილების გამგე-—მაგრამ ამის მიზეზი არის ის **ზაფხული,** რომელმაც ყველა ჩვენგანს დაგვისუსტა მუშაობის ენერგია. მაგრამ, მომავალ ზამთრის განმავლობაში, ჩვენი მიზანია, ავანაზღაუროთ ის, რის გაკეთების საშვალება არ მოგვცა **ზაფხულის** სიცხეებმა.

— ყველამ კარგად ვიცით, რომ მთელ ზაფხულის განმავლობაში სიცხეების გამო მუშაობა შეფერხებულია; ბევრი ჩვენი მეგობრები და თანამშრომლები შვებულებაში და აგარაკებზე მიდიან. ამიტომ საყვედური არ ითქმის. თუ საქმე წინ არ წავიდა. აი, დგება ზამთარი; ყველა ჩვენგანი სავსე და განახლებული ძალღონით უდგებით მუშაობას და ნაყოფსაც დიდს გამოვიღებთ—ასე დაასრულა სიტყვა მუშკომის თავმჯდომარემ.

— სიმართლე უნდა ითქვას, რომ **ზაფხულისა** და აგრეთვე მენშევიკების ავანტიურის წყალობით, ჩვენ არაფერი არ გაგვიკეთებია...

— მენშევიკების ავანტიურასაც იქნებ ზაფხულს აბრალებთ?—ირონიით შეეკითხა ტარტაროზი ალმასკომის თავმჯდომარეს.

— სწორედ რომ **ზაფხულის** ბრალია. **ზაფხული** რომ არ ყოფილიყო, ისინი ამ ავანტიურას ვერ გაბედავდენ. მოგეხსენებათ, ზაფხულში მთელი მიდამო ყანებით და გაშლილ მცენარეებით არის დაბურული. ამიტომ დამალვა უფრო ადვილია ზაფხულში, ვიდრე წელიწადის სხვა დროში. ჰო-და იმას მოგახსენებდი, რომ, ამიტომ არ შეიძლება სოფლად ჩვენი მუშაობა დავიწუნოთ. ზამთარი კარზე მოგვადგა და მე იმედი მაქვს ყველაფერს ერთს სამად გავაკეთებთ.

— ...და ამგვარად ჩვენი მიზანია მომავალ ზამთრის განმავლობაში გავაკეთოთ ის, რაც **ზაფხულში** სიცხეების და მენშევიკების ავანტიურის გამო ვერ გავაკეთეთ...

ასე იმართლებდენ თავს ტარტაროზის წინაშე და ჰპირდებოდენ ზამთრის განმავლობაში შრომის ნაყოფიერების ზრდას.

— არა, ეს **ზაფხული** ინგლისის და საფრანგეთის მთავრობა ხომ არ არის, რომ მუშაობაზე ხელს გვიშლის? მენშევიკებიდან არ არის გასაკვირი, მაგრამ ეს ოხერი **ზაფხული** რას გვერჩის ჩვენ?—ასე ფიქრობდა სახლისკენ მიმავალი ტარტაროზი.

* * *

დადგა ზამთარი.

დაიწყო თოვა.

დიდი თოვლი მოვიდა.

ტარტაროზს უხაროდა და ფიქრობდა, რომ რამდენად დიდი ზამთარი იქნება, იმდენად შრომის ნაყოფიერებაც გაიზარდებაო.

აკი ასე ამბობდენ დაწესებულებების უფროსები.

ტარტაროზმა ჩამოიარა ყველა დაწესებულებები, რომლებშიაც ნამყოფი იყო. უნდა ენახა, თუ რამდენად გაიზარდა ზამთრის განმავლობაში შრომის ნაყოფიერება.

ათი საათი იქნებოდა, როცა იგი გაემგზავრა ერთ დაწესებულებისკენ.

გზაზე ამავე დაწესებულების მოსამსახურეები თოვლაობას თამაშობდენ. ტარტაროზსაც ხვდა მათი მრავალი ფეშქეში. როცა დაწესებულებაში მივიდა, არავინ დახვდა; დაუცადა მათ მოსვლას და მალე მდივანი მოვიდა, მაგრამ ტარტაროზისათვის არც კი შეუხედნია ისე მიუჯდა ბუხარს და გაყინულ ხელების თბობა დაიწყო... შემდეგ კიდევ მოვიდენ ათიოდე სხვა თანამშრომელი და რადგან ბუხართან ყველა ვერ მოთავსდა, დაიწყეს ხტუნაობა.

## სალამოობით „ზედმეტი მუშაობა“

გაჰკარ-გამოჰკარ ორ-სამჯერ „სჩოტი“,
წიგნები აწყვე ან გადამალე;
სწერე და ჰხიე დიდი ბლოკ-ნოტი
—ექვსი საათიც გაირბენს მალე.



**წადით, იძინეთ, მოდით სალამოს,**
**ერთ-ორჯერ კიდევ „სჩოტსა“ გაჰკარით;**
**ქათინაურებს იტყვით საამოს,**
**—დროს გაატარებთ სიცილ-ხარხარით.**

**სადაც გამგეა მოხერხებული**
**ყველგან ეწყობა ეს „ზედმეტობა“.**
**ჯიბეს მეტად ჰრგებს „ზედმეტი“ ფული,**
**გულსაც ახარებს „ზედმეტი“ ტრფობა.**

— უკაცრავად, რაღაც საქმე მაქვს... დაიწყო ტარტაროზმა მორიდებით, მაგრამ მდივანმა მაშინვე დააჩუმა:

— რა დროს საქმე და მუშაობაა? ვერ ხედავათ რა სიცივეებია? ვის გაუგონია ასეთ ზამთარში მუშაობა...

რა უნდა ექნა; გამობრუნდა ტარტაროზი და სხვა დაწესებულებაში წავიდა.

— როგორ გგონია, შრომის ნაყოფიერება ზაფხულში უფრო მეტია თუ ზამთარში? ერთმანეთს ემუსაიფებოდენ უფროსის მოადგილე და საქმეთა-მართველი.

— მე მგონია, რომ ზამთარში უფრო მეტია.

— არა, ძმაო, **ზამთარში** შრომის ნაყოფიერობაზე ლაპარაკი სრულიად ზედმეტია; ზაფხულში რა უშლის ხელს კაცს, როცა ყველას შეუძლია თავი სუფლად მოსვლა სამსახურში.

— აქაც არაფერი ხეირია—გაიფიქრა ტარტაროზმა და გამოვიდა.

დარაჯი კარებთან იდგა, როცა ტარტაროზი კარებს მიადგა.

— რა გინდათ, ამხანაგო! შეეკითხა გაკვირვებით ტარტაროზს დარაჯი.

— საქმე მაქვს, კარი გააღეთ.

— ვერ ხედავ ქვეყანა იქცევა... ჩემს მეტი არავინ არ არის; მოდი როცა ყინვები არ იქნება და თოვლი ადნება.

— ყველგან ასე იქნება—გაიფიქრა ტარტაროზმა და შეუხვია თავის სახლისკენ, მაგრამ მოსახვევში ერთი დაწესებულებიდან ღიღინი მოესმა.

— აქ კი არის მგონი მუშაობა—გაიფიქრა და კარები შეაღო.

გაიარა კარიდორი... ერთი, ორი ზალა, მაგრამ არავინ შეხვდა.

საიდღანაც დამლაგებელი გამოვიდა და როცა ტარტაროზი დაინახა ყვირილი მორთო:

— ქურდია, ქურდია, გვიშველეთ... და ქალი მივარდა ტელეფონთან, რომ ჩეკა გამოეძახებია.

საბედნიეროდ „ცენტრალნაიას“ როგორც ყოველთვის, ტკბილად ეძინა და ტარტაროზმა მოასწრო გამოქცევა.

**ბლიკვი.**



## მგლებზე თუ მგლების ნ ა დ ი რ ო ბ ა

შიში [illegible] მგლისაგან,
ცუდია მასთან შეხვედრა.

**სოლომონისებური.**

„წითელი ჯარი და ჩეკა
„ამარცხებს ორფეხ მგლებსაო,
„რომლებიც აჟღარუნებენ
„თოფ-ზარბაზნებს და ხმლებსაო.

„რესპუბლიკისა წინაშე
„ჩვენც მოვიხადოთ ვალია
„და ყველა მგლები დავხოცოთ,
„რომლებიც დღეს ცოცხალია“.



**მიდის სპა მონადირეთა,**
**რათა მგლებს დასჭრან თავები;**
**თავიანთ ცოლებს შეჰპირდენ**
**მოსაკლავ მგლების ტყავები.**

**სულყველა ფიქრობს: ათს მოვკლავ,**
**ხუთმეტს დავიჭერ ხელითა;**
**ისტორიაში ჩამწერენ,**
**უკვდავს ვყოფ სახელს მგელითა.**

## მომხმარებელი

(რუსულით ნაქართულევი)

საპნის ქარხანა „წითელი ჩირაღდანი“-ს კარებთან დილა ადრიან გაჩნდა მომხმარებელი ითმენაძე.

მან გუშინ გაზეთში ამოიკითხა, რომ ქარხანას გირვანქა საპონი უჯდება არა უმეტეს ოთხი კაპეიკისაო, მაგრამ შემდეგ ერთი ხელიდან მეორე ხელში გადასვლით იმდენათ ძვირდება, რომ მომხმარებელს ერთი ათად უჯდებაო.

ამიტომ მან გადასწყვიტა პირდაპირ ქარხნიდან შეეძინა რამდენიმე გირვანქა საპონი.

—რა გნებავს, მეგობარო?—ჰკითხა ითმენაძეს „წითელი ჩირაღდანი“-ს მეეზოვემ.

— საპონი, გეთაყვა, რიმოდენიმე გირვანქა საპონი მინდა. მე აქვე ახლო ვცხოვრობ და პირველი ხელიდან მსურს შევიძინო, რადგან მეორე და მესამე ხელში...

—ჩაიარე მეგობარო, ჩაიარე!—ჩაუქნია ხელი მეეზოვემ ქუჩის გასწვრივ ითმენაძეს.—აქ საპნის წარმოება არის და არა ვაჭრობა.

—რატომ, გეთაყვა, თუ კი ამზადებთ, რატომ არ ყიდით აქვე?

გეუბნები, აქ არ ვყიდით მეთქი; მიმართე წარმოკავშირს, რომლისთვისაც ჩვენ ვამზადებთ საპონს.

—კი მარა, მომხმარებელს ხომ პირველი ხელიდან უფრო იაფ...

—მე შენ გეუბნები იქ წადი მეთქი!—გაჯავრებით შემოუყვირა დარაჯმა და გამოიხურა ეზოს კარები...

* *
*

—თუ შეიძლებოდეს რამდენიმე გირვანქა საპონი ამიწონეთ დაჩქარებით, სამსახურში მიგვიანდება,—მიმართა ითმენაძემ წარმოკავშირის ერთ წარმოინსტრუქტორს, რომელიც პირველათ შეხვდა წინ.

—შენ გზა ხომ არ დაგბნევია, მოქალაქე; ნუ თუ არ იცით, რომ წესდების ძალით წარმოკავშირს არ შეუძლია კერძო პირებზე საქონლის გაცემა. ცეკავშირს შეუძლია მხოლოთ დაანაწილოს საქონელი მომხმარებელ საზოგადოებებზე...

—მე მომხმარებელი ვარ სწორეთ, ჩემთვის მინდა ოჯახში...

—მოდი ახლა და გაუწიე ინსტრუქტორობა ახეთ შეუგნებელ მოქალო-

ქეს!—ჩაიქნია უიმედობით ხელი ინსტრუქტორმა.—გეუბნები, შე კაი კაცო, ადამიანური ენით—ცეკავშირის საქმეა დანაწილება ნეთქი. მიმართე მას...

* *
*

—რამოდენიმე გირვანქა საპონი მინდა და უთხარით, რომ ჩქარა ამიწონონ,—მიმართა ოთმენაძემ ცეკავშირის ერთ-ერთ ინსტრუქტორ—ორგანიზატორს, რომელიც თავის ბარგ-ბარხანას კრავდა პროვინციაში წასასვლელად.

—რომელი მომხმარებელი გაერთიანების წარმომადგენელი ხარ შენ, ამხანაგო, ასე ნება დაურთველად რომ ჩამოსულხართ ცენტრში და საქონელს თხოულობთ უსისტემოთ?—საყვედურის კილოთი შეეკითხა ინსტრუქტორი ითმენაძეს.

—მე მომხმარებელი ვარ, ჩემთვის, ოჯახისთვის მინდა საპონი, რამოდენიმე გირვანქა.

არა ძმავ, აქ ასე უთავბოლოთ არავის არ მიეცემა საქონელი. შენ თუ მომხმარებელი ხარ,—მიმართე მთლიან მუშკოოპს. მხოლოთ მან უნდა მიაწოდოს ქალაქის მომხმარებელს საქონელი...

* *
*

—შეიძლება ათიოდე გირვანქა საპონი რომ მომყიდოთ?—თითქმის ხვეწნით მიმართა ითმენაძემ მთლიან მუშკოოპის გამგეობის ერთ წევრთაგანს, რომლის სამეცადინო მაგიდაზე შეამჩნია რამდენიმე ზოლი საპონი.

—ჩვენ აქ ვანაწილებთ საქონელს და არ ვყიდით,—მიმართეთ უშვალოთ მაღაზიაში.

—მე მინდოდა პირველი ხელიდან მიმეღო, გირ....

—ხელს ნუ გვიშლით, მოქალაქე, მიმართეთ იქ, სადაც რიგია...

* *
*

—საპონი, ათიოდე გირვანქა საპონი ამიწონეთ,—მუდარებით შეევედრა ითმენაძე მუშკოოპის მაღაზიაში ნოქარს, რომელიც გულმოდგინეთ კითხულობდა გაზეთში მოწინავეს კოოპერაციის მნიშვნელობის შესახებ.

—აღარა გვაქ, ამხანაგო, გამოგველია. აი, იქ, პირდაპირ დუქანში შეიძლება იშოვოთ ჯერჯერობით...

კაცი ქორასთან გმირია,
[illegible] ასეთი.
[illegible] მაბაძვა.

მოთავსდენ მატარებელში,
მაგრად ჩაკეტეს კარია,
ფანჯრიდან იცქირებიან,
(გარედ თოვლი და ქარია).

სადგურში ღვინო გადაჰკრეს,
ზედ მიაყოლეს არაყი;
ცეცხლსა მოუსხდენ, მიჰკიდეს
კედელზე თოფ-იარაღი.



**მგელი არ მიდის ბუხართან,**
**(იქ არ სწამს ბრძოლის ველია);**
**რა ექნათ—ადგენ, წავიდენ—**
**ველარ გამართეს წელია.**

**მგლები გამოდგენ სერზედა**
**და ხედვენ მოკუნტულებსა;**
**ესმით რომ გააქვთ ბაქი-ბუქ**
**მონადირეთა გულებსა.**

* *
*

—რას ინებებთ?—ცბრუტივით მოტრიალდა ითმენაძისკენ მედუქნე აწაპნაძე, რომელიც მუშტარს აცილებდა კარებში.

—საპონი მინდა ათი გირვანქა. რაგრამ რა ღირს, ჯერ ერთი მითხარით.

— ორი აბაზი გირვანქა, უფრო იაფათ ვერსად იშოვნით.

—ორი აბაზი?.. ამიწონეთ ერთი გირვანქა.

—ერთი? აკი ათი გირვანქა მინდაო, სთქვით?

—არა, მე ერთი ვსთქვი,—იცრუა ითმენაძემ, რომელსაც ათი გირვანქა საპნის ფული ჰქონდა თან იმ შემთხვევაში, თუ გირვანქა ოთხი კაპეიკი ეღირებოდა.

* *
*

—დაქანცული და გაწბილებული ითმენაძე შუადღისას დაბრუნდა სახლში ერთი გირვანქა საპონით.

—იმ დღეს სამსახურში აღარ წასულა სალამოზე სიცხე მისცა. ღამე სიზმარში სულ საპნის გორებს ხედავდა და საპონზე აბოდებდა.

—მეორე დღეს ძლივს წამოდგა ფეხზე და გასწია სამსახურისკენ, სადაც უმიზეზოთ გამოუცხადებლობისთვის ერთი დღის ჯამაგირი გამოუქვითეს...

ნ.

## ზოგიერთ ჭირის მარგებლობა

### 1. წინასწარი ფიქრები.

საითაც ფეხს არ გადადგამ
სულ ყველგან „ნოტი“, „ნოტი“,
პატიოსანი კაცი
ნუ შეწუხდები მოდი.
ანგარიშს არვინ გიწევს
წადი, იჩივლე, აბა...
როგორც ურიგო მუშას
სწრაფად დაგწევენ დაბლა
ან და მთლად გკრავენ პანღურს,
გაგიმეტებენ ხელად;
საბოტაჟნიკს და ზარმაცს
შეგკვეცენ ულმობელად...
გეტყვიან, გიძევს გულში
მთავრობისადმი მტრობა!..
შემდეგ წადი და (თუ გსურს)
დაიწყე არტისტობა...

### 2. ვის რად უნდა მეთაური და ტელეგრამები.

შინა-წესების ძალით
იყო ბრძანება მკაცრი,
(კარგს რამეს მოიგონებს
„ნოტის“ მოყვარე კაცი),
რომ გაზეთს არვინ ახლოს
მუშაობის დროს ხელი.
(გაზეთებიდან თითქოს

სირცხვილი სჭამო სჯობია,
ვიდრე შენ მგელმა შეგჭამოს.
**სოლომონიდან მოპარული.**

გადაიარეს გორაკი,
არსად სჩანს მტერი ავია.
ღმერთსა მადლობას უთვლიან
რომ შერჩათ ტანზე ტყავი.

ერთმა სთქვა კვეხნით:—დავაფრთხეთ,
ვერ გაგვიბედეს ომიო;
უკან გავბრუნდეთ და ვჭამოთ
ცხელი ხარჩო და ღომიო.



**ყველამ შესძახეს ერთი ხმით:**
**—შენს პირს თაფლი და შაქარი—**
**პირი იბრუნეს—მაგრამ... ო,**
**გამოჩნდა მგლების ლაშქარი.**

**შენი გმირობა თუ გახლავს**
**ხერხს მოიგონებ ჭირშია;**
**თავს გადაირჩენ ხის წვერზე,**
**— მგელს არ ეცემი პირშია.**

რაიმე ხეირს ელი).
მაგრამ დიდთათვის ხომ არ
სწერენ ბრძანებებს ასეთს ..
და გამგის მოადგილე
თამამად ეცა გაზეთს...
მეთაურს, ტელეგრამებს
დღეს ვინ კითხულობს, აბა...
ვერსად შეხვდები, იცი,
სასიხარულო ამბავს...
ერიო, ჩემბერლენი
ვის რაში უნდა ეხლა,
ან გენერლობის კიდევ
ჩინეთში წეწვა-შეხლა.
ან მუსოლინი მკაცრი,
ან ეგვიპტელთა ძრწოლა,
ან მაროკოში კიდევ
„გმირ“ ესპანელთა ბრძოლა?..
ქრონიკა, სასამართლო
ყველას სჯობია ერთად...
მარტო მეოთხე გვერდი
უღირს სამ გვერდზე მეტად...

**3. სასიხარულო ამბავი.**

კითხულობს... სახე ბრწყინავს...
გული სიამით ღელავს...
თან ცალი თვალით ოთახს
ათვალიერებს, ზვერავს.
რა უშავს... დაიცდიან
დღეს საქმეები ჩქარი...
აგერ მოუკლავთ ვიღაც,
იქ ცოლს უჩივის ქმარი.
იქ თურმე ქალიშვილი
საყვარელს ურცხვად გაყვა...
აქ კი თბილისზე .. ღმერთო...
მგლებს შემოურტყამთ ალყა!..
მეტის-მეტ სიხარულით
სტრიქონებს ველარ არჩევს...
მადლობით სავსე ლოცვებს
უგზავნის გულში გამჩენს.
ვიღაცას ეუბნება
ბრაზით და ნიშნის გებით,
გათავდა... მოგილებენ
ამ ზამთარს ბოლოს მგლები!..

**4. შველაც მოდის.**

იმ ღამეს მეგობართან
წავიდა მახარობლად.
ახარა:—ძმაო ზეცა
არ გვტოვებს მაინც ობლად...
კარგს რამეს გეტყვი, იცი,
(მიხარის, შინ ვერ ვდგები)
თბილისზე ჩვენს ქალაქს ..
მოუგზავნია მგლები...
საცაა აილებენ,
ჯარი ვერ ხდება ვერას...
დაპყრობილია უკვე
ნაძალადევი, ვერა!..
გვეშველა, როგორც იქნა...
ქალაქში ხარობს ყველა...
დათვებიდანაც თურმე
იქნება მალე შველა!..
დიდხანს იყბედეს ასე
და მოიოხეს გული;
ცრემლებით მოიგონეს
დროება დაკარგული.
სტუმრისთვის მასპინძელი
პურ-ღვინოს არ იშურებს...
შვუაღამე როცა გახდა
მეგობარს გაისტუმრებს...

**5. ბრძოლის მოლოდინში და დაკარგული პრემია.**

მიდის ნელნელა მგზავრი,
მიდის და, თან ღიღინებს;
თავში უხვ მასპინძელის
კიპინობს თეთრი ღვინო.
ყინვაა... ცურავს ფეხი.
ზევიდან ცა თოვლს ისვრის...
უეცრად, სადღაც ახლოს
რაღაც ყმუილი ისმის...
ქარი ზუილით ქუჩას
აუვლის, ხან ჩაუვლის;
მგზავრს კოჭებამდის დაფრთხალს
ტანს ჟრუანტელი უვლის...
ფიქრობს: მგლებია მგონი,
და ჯოხიც არ მაქვს ხელში,
ვაი, თუ ბალშევიკად
მიმიღონ და მწვდენ ყელში...
აღარ გაგივა ხვეწნა,
რწმუნება, ფიცი, ხერხი...
და რაც ძალღონე ჰქონდა
მოჰკურცხლა... ცურავს ფეხი...
მიქრის ქარივით, უკან
მოხედვას ველარ ბედავს...
უცბად წინ ტროტუარზე
რაღაც საეჭვოს ხედავს.
თითქოს ძაღლია დიდი...
შეხედვა კი აქვს მგელის.
ჰიშკართან ჩამომჯდარა
და მსხვერპლს მოთმენით ელის...
ვერ შეხვდა (ფიქრობს მგზავრი)
ტიალი ჩემზე მსუქანს?..
გარბის და „მგელიც“ ყეფით
გამოედევნა უკან...

მოსდევს... ადგილიც რბილი
ნიშანში ამოიღო...
გამოეღვიძა ჩვენს მგზავრს.
—თურმე სიზმარში იყო.
გაზეთზე ჩათვლემოდა,
(დაღლილ კაცს ძილიც შვენის)
გარშემო იცინოდენ,
ესეც „ნოტი“-ო შენი...
მოეშვა... ოფლიანი
გადაიწმინდა სახე...
თქვა:—რა კარგია, რომ ეს
მხოლოდ სიზმარში ვნახე...
თან გულში სინანულის
გრძნობდა რაღაცა ეკალს,
პრემიას მიიღებდა
ის მგელი რომ მოეკლა...
სამი მანეთი ფული
ეხლა აწყენდა როდი...
და კვლავ შეუდგა საქმეს,
ტყუილად არის „ნოტი“?..

**სინემატო.**

ვის არ მოუკლავს ვერც მოჰკლავს,
ხელ-ცარიელი შინ მოდგა.

**სოლომონიდან-ნასესხები.**

დამარცხდენ მგლები... რა ექნათ
—და მიატოვეს ტყვეები;
ახალ ბრძოლაში წავიდენ,
გადაიარეს ტყეები.

მონადირენი შუადღისას
ისევ დაბრუნდენ სადგურში,
შიშისა გამო ზარის ხმა
არა ესმოდათ მათ ყურში.



**პარტიზანული მგელთ რაზმი
შემოესია ქალაქსა
და სტრატეგიის თანახმად
ესტუმრა მყუდრო ალაგსა.**

**დაბრუნდენ მონადირენი
(არა მგლის) მხოლოდ თვის ტყავით.
კვეხდენ: მგლები აქ მოსულან
მიტომ რომ აქ არ ვიყავით.**

**ისელი.**

## „გენერალი კუროპატკინი“.

პსკოვის გუბერნიაში ხოლმის მაზრის სოფელ შამშურინოში 14 იანვარს გარდაიცვალა 80 წლის მოხუცი ყოფილი გენერალი კუროპატკინი.

ვანუას არ უყვარს გაზეთის კითხვა. მსოფლიო ამბებს გაზეთის გამყიდველ ქყეტია პოლოსასაგან ტყობულობს და ასე იოლად მიდის

წინათ კი ვანუა აიღებდა თუარა სიფთას, მაშინვე მეგობარ პოლოსასკენ გაეშურებოდა; სპილენძის შაურიანს ხელში ჩაუდებდა, „ცნობის ფურცელს“ გამოართმევდა და ეძებდა სენსაციურ ამბებს.

როცა წვანილის გაყიდვას მორჩებოდა, თავის ძმა-ბიჭებს აცნობდა ქვეყნიერების ამბებს.

მეტად გატაცებული იყო ვანუა გაზეთის კითხვით რუსეთ-იაპონიის დროს.

**1904** წლამდე იაპონია მას არც კი გაეგონა და მის გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა სრულიად მოულოდნელათ რუსის ხელმწიფეს ვიღაც მუცუკიტომ „ვაინა“ გამოუცხადა.

— ვა, ეს ვინ ოხერი მუცუკიტოა, რომ სამგლე გოჭივით ატეხილა და რუს ხელმწიფეს ესპორება? ხონთქარმა ვერაფერი დააკლო ჩვენს „ვაისკას“ და ეს მაიმუნები რას უზამენ?!

მაგრამ, მოლოდინის წინაალმდეგ, გაზეთებს რუსის ჯარის დამარცხების ახალახალი ამბები მოჰქონდა.

— ვააა, რა „ატჩაინი“ ვინმე ყოფილა ეს მუცუკიტოა თუ ვიღაცა ჯანდაბაა; რა ყოჩაღი გენერლები ჰყოლია იმ ოჯახქორსა?!

მიუხედავათ რუსის ჯარების დამარცხებისა, ვანუა იმედს არ ჰკარგავდა, რომ ბოლოს რუსები მაინც დაამარცხებდენ იაპონიელებს. მაგრამ პორტ-არტურის დაკარგვამ ერთბაშად გაუტეხა გული ვანუას და იგი იაპონიის გენერლების მხარეზე გადავიდა

— ე, რა ღმერთი გაუწყრათ, რომ ასე ყოველ დღე იხევენ უკან. თუ ასე გაგრძელდა, იაპონიელები ტფილისში ამოჰყოფენ თავს.

ამ ფიქრებში იყო ვანუა, როცა მწვანილით დატვირთულ ტაჩკას მამადავითისკენ მიუძღვებოდა.

ძლიერ გაუჭირდა ტაჩკაში შებმულ ვირს აღმართზე ასვლა: დაიწია უკან და გოლოვინის პროსპექტზე ჩამოგორდა ტაჩკასთან ერთად.

ვანუა გაუწყრა ვირს.

-- შე ოხერო, კუროპატკინი ხომ არა ხარ, რომ სულ უკანუკან იხევ?

პოლიციელმა გაიგონა ვანუას სიტყვები და თავისი ტაჩკით, მწვანილით და ვირით “უჩასკა“ში მიაბრძანა.

გუბერნატორის განაჩენით ვანუას მიუსაჯეს: სამი თვის სატუსაღო და ტფილისიდან გაძევება.

წვერსა და თმას იგლეჯდა ვანუა, როცა განაჩენი გამოუცხადეს.

— ვახ, ჩემო უბედურო თავო; ვაი, ჩემო ტფილისო; ვაი, ჩემო ტაჩკავ; რა დავაშავე იმით, რომ ჩემი ერთგული ვირი კუროპატკინს შევადარე?

ამის შემდეგ ვანუას ხელში გაზეთი აღარ აუღია.

— მე ერთი კინტუა ვარ; რა ჩემი საქმეა გაზეთი და პოლიტიკა... ღმერთმა დალახვროს „ცნობის ფურცელი“ და მისი გამომცემელი ჯაბადარიც —

*
* *

ამას წინად მეგაზეთე ქყეტიამ ვანუას ახალი გაზეთი გაუწოდა.

— თუ რამე იცი მითხარი, თორემ მე გაზეთს აღარა ვკითხულობ—ქყეტიამ წაუკითხა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ პსკოვის გუბერნიაში, ხოლმის მაზრაში გარდაიცვალა გენერალი კუროპატკინი“.

— დაიცა, რომელი კუროპატკინი? რომელი ღენერალი? ახლა ხომ ღენერლები აღარ არიან?!

— იყო ერთი, მაგრამ აწ აღარც ის იქნება; ეს იგი იყო, რომელმაც შენი ტაჩკა და—ვანუა მიხვდა ყველაფერს და თვალწინ წამოუდგა თავისი ამბავი, მაგრამ არ აცრემლებულა.

თავის მეგობარს ხელი მოჰკიდა და ორივენი ღვინის სარდაფში ჩაეშვენ.

მოითხოვეს ერთი კვარტი კახური; ჭიქებში ჩაასხეს.

ვანუამ აიღო ღვინით სავსე ჭიქა და თევშზე წვრილად დაჭრილ პურს დაასხა.

— საუკუნო სამკვიდრებელი დაუმკვიდროს ახლად მიცვალებულ კუროპატკინს... რაც უნდა იყოს, ხომ ადამიანის შვილი იყო იგი უბედური; რა უყოთ რომ იაპონიელებმა დაამარცხეს. მაშინ უბედურად იყო ჩვენი ცხოვრება მოწყობილი. აბა, ახლა სცადონ და ჩვენს „ვაისკას“ და „სავეტსკი ვლასტს“ აუტეხონ ჩხუბი... ისეთ დღე დააყენონ, რომ სულ თავს იწყევლიდეს იაპონია.

— ვანუაჯან, ახლა იაპონია ჩვენს სვაბოდნი ხალხთან რას გახდება; ამიტომაც ხელშეკრულება დასდო ჩვენს მთავრობასთან.

— მართლა? მაშ გაუმარჯოს ჩვენს ერთობასა.

ე—ი.



# გოდებიადა

შარჟი 2 სანახაობათ

## მოქმედი პირნი:

ალი
ახმედ
ხანუმ
ამბაკო
კარაპეტ
} კონტრაბანდისტები.

### სცენა პირველი.

(სცენა წარმოადგენს ოსმალეთ-საქართველოს საზღვრის მახლობელ ადგილს, სადაც ხვდებიან ერთმანეთს: ალი, ახმედ და ხანუმ, რომლებსაც კონტრაბანდი საქონელი მოაქვთ).

**ალი.** (აბესალომის ხმაზე მღერის).

ახმედ, ახმედ შენსა მზესა
შენი საქმე რა რიგია?

**ახმედ.** რასა მკითხავ, ჩემო ალი,
ჩემი საქმე რა რიგია!
ფეხზე,
ყელზე,
თავზე,
წელზე,
ზურგზე,
წვივზე,
რბილ ადგილზე
„ინდიგო“ მაქვს შემოკრული,
თუმცა საქმე „სარისკოა“,
მაგრამ ფულიც მომიგია.
ეხლა, ხანუმ, შენ მითხარი
შენი საქმე რა რიგია?

**ხანუმ.** (ეთერის ხმაზე).
ჩემ საქმესა თქვენც კი ხედავთ,
ჩემო ალი და ახმედა.
ისე მივალ „გაბეზილი“,
თითქოს ვიყო ფეხმძიმედა.
ფეხზე,
ხელზე,
თავზე,
წელზე,
ზურგზე,
მკერდზე
და მუცელზე,
თანაც ქვევით ყველაფერზე
მე ბლომად მაქვს შემოკრული
„ეკეტკები“ და ჩულქები;
ხელობაა უხერხული,
მაგრამ ფულიც მომიგია.
ეხლა, ალი, შენ მითხარი
შენი საქმე რა რიგია?

**ალი.** ხანუმ, ჩემო, ჩემი საქმე
მე თვითონ ვერ გამიგია.
როს საზღვარზე გადავივლი
მაშინ გეტყვი რა რიგია.
„ინდიგოსთვის“ მეც ვიყავი
ართვინში და ხოფაშია.
ბათომში თუ ჩავიტანე
ჩავარდები ყოფაშია.

**სამივე.**
ჩვენ ვართ კონტრაბანდისტები:
ალი, ხანუმ და ახმედა.
გატანაში ვერვინ გვჯობნის,
ლირებს ვიგებთ ზედიზედა.
საქონლისთვის ხშირად მივალთ
ართვინში და ხოფაშია.
ბათომში თუ ჩავიტანეთ
ჩავარდებით ყოფაშია.

### სცენა მეორე.

(სცენა წარმოადგენს ბათომის საპატიმროს, რომელშიც დაღვრემილნი ზიან კონტრაბანდისტები).

**ამბაკო.** („სურამის ციხე“-ს ხმაზე).
ბალა ბალა ბალაჯან,
ოდელია ნანაო.
შუქრი-ოღლი ახმედა,
აქ რამ მოგიყვანაო?

**კარაპეტ.** მოგვიყევით, გვიამბეთ
ახმედ, ალი-ჯანაო.
კონტრაბანდის გულისთვის
დაგიჭირეს განაო?

**ახმედ.** რომ საზღვარზე მოვედით
მე, ხანუმ და ალია,
დარაჯებმა ჩვენ მოგვკრეს
საიდანღაც თვალია;
ტანსაცმელში გაგვშინჯეს,
ქრთამმაც ველარ გვიშველა.
მო-ვიყვანეს ბათომში,
შემოგვყარეს აქ ყველა.

**ალი.** ბათომში რა გინდოდათ
კარაპეტ და ამბაკო?



**კარაპეტ** ალარ გვეყო საძოვრად
ჩვენ ტფილისი და ბაქო.
**ახმედ.** ყველა ჩვენი ქონება
საბაჟოში აწყვია.
**ალი.** დავიღუპე, არ ვნაღვლობ
თუ მომხვდება აწ ტყვია.

**ხანუმ.** საბაჟო და ციხეო
დანგრეული გნახეო.
ჩვენი კონტრაბანდები
კარგ დ შეინახეო.
**ყველა.** ვაიმე, ჩვენო ფულებო,
ვაიმე, შევიოლებო:..

**მედუზა.**



## ალგომითან.

ტარტაროზჯან, დობრის უტრა!
ია ტოჟი ხატიმ პოვეტ ბუდით.

დუშკაჯან, პოსილაიუ ტებე ნა ფეშ-ქეშ ადინ სტიხ· ი პრაშუ ნაპეჩატიტ ნა ტვოი არღან.

ფუტურისტ ზნაი ? ია ტოჟი ფუტუ-რისტ, კლიანუს ჩესტი სუფსარქისის მადლმა. ახალი მოდნა მინდა რაღა შემოვიღო ლიმპ რატურაში.

უსტაბაშ ფუტურისტოვ ზნაიშ? ონ ნაპისალ ნა პამიტ მენე ეტო სტიხ; პრაშუ ნაპეჩატიტ, მოი ლასტოჩკა!

და, ტარტაროზ, მოი სევდონიმ, ტო ისტ ევდოკიმ, ბუდიტ **ხარფუხსკი ზარ-ბაზან**, კატორი კრუგომ სტრელიაიტ.

ჩემი დეისტვიტელნი ლიჩნოსტი ფუ-ტურისტებმა არ გაიგონ, თორემ მცე-მენ; დრუგოი ზავოდის ხალხია.

რაზუმეიცა ყველაფერიმ ტაინათ გეცოდინებათ. პოვეტსკი სალამ.

ტვოი პოლოს წიწმატიანც.

## ცა შორი იესო ოთხი.

ღამემ მომართა აქ საზანდარი,
ნახშირის ლოცვით სტირის მაყალა;
მთვარემ აილო დიდი საზამთრო
და მშიერ ქალაქს თავში ახალა.

ცაში ვსეირნობ როგორც არავინ—
მე პოეტობა მაინც მაკმარონ;
მამა დავითზე სტირის ტარანი
და მთვარე მ კვარში ხარშავს მაკარონს.

თქვენ აგატირებთ ჩემი ნაშრომი—
მე აყლაყუდა კიდევ ვიზრდები..
ეხლა ტფილისში გოგირდს აშრობენ
„ბეზრაბოტნიკი“ ფუტურისტები.

მე სულ დავწერე ლექსი ცამეტი,—
მთვარე ბოლოკებს ისვრის მაღალი.
„ზაგესს“ მოუნდა ვახშმათ ცემენტი—
და მომენატრა ისრიმ მაყვალი.

აფთიაქებში დავალრჩვე რითმა
და მენატრება ჩემ ცოლთან ბავში;
ოცნებამ დასწვა ფიქრის ჩიხირთმა
და დაილვარა პიტნის ბოზბაში.

**ტარტაროზის ფეხი.**

## „პირი სოფლისაკენ“

(გურული სცენა)

... ჰო-და ასეა, ჩემო ბიძია.

— არა, ყარამან, ჩვენი რა ბრალია, რომ წელს ასეთი ზამთარი არის.

— აბა ვისი ბრალია? ღმერთი არა გრწამთ და რჯული. რაც ეკლესიები იყო ქე გამოხურეთ... ქვეყანა რავა არ დაიქცევა, როცხა ზლიპ რტალა ყაზილარები ეკლ სიებს დიეპატრონენ; ხუცები და ხ ტე ი გარე გამოყარეს და ით თეატრობიე გამართეს ღმერ-თი სულგრძელია თვარა მე რომ იგი ვიყო სულ ამოვჟუჟავდი ქვეყანას

მარა, ამ ს დივეთხუოთ და შენ რთი იგი მი ხარი, როის მივესწრობით რი-გიან ცხოვრებას? შენ, ჩემო ბიძია, არ გი ი ს: თიფლისში ხარ, ჯამაგირი გაქვს და ყოლიფერი. რაც ფული მეი-ქრება-სოფელში არ აგზავნით, სულ თქვენა გინდა. გაგვშპა ტყავი. რომ არ მცხვენოდეს შარვალს ჩევიხსნიდი და გაჩვენებდი, რომ ქვეშ არაფერი მაცვია...

ერთხანს იყო-და რაცხა მაკრატე-ლიაო, ჩივოდით, იგი გადასჭრის გლე-ხების საკითხსო. ისე გადაჭრა, რომე ჩვენ მიგვაგდო საცხა და დავავიწყდით ღმერთსაც და ეშმაკსაც.

— ნუ გეშინია, ყარამან. სოფლის მდგომარეობა მალე გაუმჯობესდება. ეხლა ჩვენს პარტიას და მთავრობას ახალი პოლიტიკა აქვს:

**პირი სოფლისაკენ.**

— რაი ი, რაიო?! მაი რაცხა პოლი ტიკაა, მაკრატელიაზე უფრო გლახა იქნება..: ბიძია, ჩვენ დაქცევა და შე-ჭმა გვეყოფა. პირს რომ ჩვ ნ კენ შო-ბით, ერთხელ ხელი გამოგვიწოდეთ და მოგვეხმარეთ.

პირიო... კაია შენ ნუ მომიკვდე: სოფელმა აკეთოს და ქალაქმა ყლინწი უქნას.

ტანზე არ მაცვია და ფეხზე; კონ-ტოლიე ყაზილარები ნაცარში მიყრია; თოვლით ფეხები დათათურებული აქვთ; ცოლს ჩხაპუტა წულა არ აც-ვია. აი რაცხა კომპერატივია შიქ ქია ყოლიფერი, მარა, რავა გინდა, მამის-სისხლათ ღირს, ერთ ვერსზე ვერ გიე-კარები, ცეხლი ეკიდება ყოლიფერს...

არა, ბიძია, იქინე უთხარი შენზე უფროსი თუ ვინმე არის კიდევ, რო-



მე—პირის მაგიერათ ხელი ჰქნან სოფლისკენ, თვარა გაძვალტყავებული ვართ,—ერთიცახე ხორცს ვერ ნახავთ ჩვენს ტანზე და რათ გინდათ შესაჭმელათ პირი რომ ჰქნათ სოფლისაკენ.

ხელი გამოგვიწოდეთ, ხელი-თქვა. როცხა მოვსულიერდებით, პირი მაშინ ჰქენით სოფლისკენ-თქვა და, ბიროშ—მობრძანდით და მიირთვით და ჭამეთ სანამდე გამოძღებოდეთ-თქვა.

ეხლა კი პირის მაგიერათ ხელი გამო ვიწოდეთ-თქვა, ხელი.

ზმუკი.

# ქ. ქუთაისი.

(მოკლე აღწერა).

ქ. ქუთაისი პირველად აღწერა საბერძნეთის ცნობილმა გეოგრაფმა სტრაბონმა. მის შემდეგ არავის გაუბედვია ეს საქმე. მინდა ეს აღწერა ვიკისრო და დაუმატო ის, რაც სტრაბონს შეუმჩნეველი დარჩა.

პირველად ყოვლისა საჭიროა იმ გზების აღწერა, რომლებიც იწყება ქუთაისიდან და მიემართება სხვადასხვა მხარეს; ეს გზები არის სულ სამი: ოლოქურა, საფიჩხია და ტფილისისაკენ მიმავალი გზა. ეს გზები მით არიან შესანიშნავი, რომ ამათზე მავალნი უკან ქუთაისისკენ აღარ ბრუნდებიან. პირველი ორი მიდის საიქიოსაკენ და მესამე კი ტფილისში ამოგაყოფიებს თავს. მგზავრობა ამ უკანასკნელ გზაზე ხდება ერთნაირი მანქანების საშუალებით, რომელსაც ეწოდება **ნელიბნელი** მატარებელი. ამ მატარებელში მოგზაურობა მეტად შესანიშნავია. მაგალითად, მგზავრებს ინახავენ ცივ და ყინულიან ვაგონებში, რადგან სითბო ორგანიზმის დამშლელი მიზეზი ყოფილა.

გარდა ამისა მატარებლის ყოველ ვაგონს ამკობს მომღერალთა გუნდები. ეს მომღერლები გაჟღენთილი არიან ისეთი თვისების სითხით, რომელიც განუწყვეტლივ და ხმის მეტი სიძლიერით ამოქმედებს მათ. ეს სიმღერა საჭირო ყოფილა იმისათვის, რომ მგზავრებს ძილი არ მიეპაროს. სიმღერის დროს და შემდეგაც სინათლე ჩამქრალია (ალბად მეტი შთაბეჭდილებისათვის).

# ანტანტა.

სოფელში ტრიბუნაზე დგას ამხანაგი კოწია და თავისი დაუზოგავი ხმით სჭექავს მთელი საათის განმავლობაში:

— ამხანაგებო! საზიზღარმა ანტანტამ დაიწყო მსოფლიო ომი. ანტანტის სისხლის მსმელმა ბუნებამ იმსხვერპლა მილიონი მუშა და გლეხები, რომელი მუშა და გლეხებიც ჩვენი ღვიძლი ძმები იყვენ.

„ანტანტა ტყავს აძრობს გერმანიის პროლეტარიატს.

„ანტანტას მონობაში უჭირავს მთელი ქვეყნის დაჩაგრული ერები.

„ეს იგივე შავრაზმელი ანტანტაა, რომელიც საბჭოთა ხელისუფლებას ებრძვის დღენიადაგ.

„ამხანაგებო, სანამ იცოცხლებს ანტანტა და მისი დამქაშები, სანამ იარაღი არ დაუყრია მას, სანამ ქვეყნიერობაზე იარსებებს ის ანტანტა, რომელი ანტანტაც შავი დროშით ებრძვის ჩვენ წითელ დროშას — მანამ ჩვენ მუშა და გლეხები მშვიდობიანათ ვერ მოვისვენებთ!

„ძირს საზიზღარი ანტანტა!

„ძირს ბურჟუაზიული და შავრაზმელი ანტანტა!"

კოწიამ გაათავა სიტყვა.

ხალხმაც საერთო ხმაურით შესძახა:

— ძირს ანტანტა!

ბოლოს ხალხი დაიშალა.

კოწია შინ მიდის.

გზაზე დაეწია ერთი ცნობის მოყვარე გლეხი და ეკითხება კოწიას:

— ამხანაგო კოწია! ეგები დამცინოთ, მაგრამ, ცოდვა გამჟღავნებული სჯობიანო. კაცო ეს ათი წელიწადია მესმის ეს რაღაცა საოხრო **ანტანტაა** და აქნობამდის მაინც ვერ გამიგია, რას ნიშნავს ეს? ახლა მაინც ამიხსენი, თუ ძმა ხარ, რა არის ანტანტა?

— შენ ხუმრობ თუ მართალს ამბობ? კაცო, აქნობამდის არ იცი რა არის ანტანტა?

— არ ვიცი ამხანაგო კოწია და რავქნა!

— შენ უეჭველათ მცდი ძამია! აქნობამდის როგორ ვერ გაგიგია, თუ რას ნიშნავს ანტანტა! არა, შენ გამოცდა გინდა ჩემი; ვერ მომატყუებ!

ამ სიტყვებით კოწია გაეშურა სახლისკენ და თანაც ფიქრობს თავისთავის:

— კაცო, მართლა რას ნიშნავს ეს საოხრო ანტანტა! ყოველდღე ყურები მაქვს გამოყრუებული გაზეთებშიც და კრებებზეც ამ ანტანტის ხსენებით, მაგრამ ბოლოს ვინ არის ეს ანტანტა, რა არის, ჯერ კაცს არ აუხსნია.

კოწია მივიდა სახლში. დამუქრებით, გადმოიღო ომიანობიდან დარჩენილი ქვეყნიერობის რუქა და შეუდგა სხვა და სხვა სახელმწიფოთა შორის ანტანტის ძებნას.

დაღალა კაცი. სამჯერ მაინც გადაიკითხა ყველა სახელი, მაგრამ ანტანტის ხსენება კი ვერსადა ნახა.

შემდეგ მოძებნა იმედაშვილის უცხო სიტყვათა ლექსიკონი. გულმოდგინეთ იქაც ეძება თავიდან ბოლომდის, მაგრამ ანტანტის ხსენება არსად იყო.



### მდინარეები.

ქუთაისისკენ მიმდინარეობს რამდენიმე მდინარე. მთავარი მათში არის რიონი, რომელშიაც ჰყრიან ყოველგვარ სიბინძურეს, რითაც მეტად სურნელოვანია იგი. მაგრამ, რადგან ამ ზამთარში ეს მდინარე გაყინულია, მცხოვრებნი ხმარობენ ისეთ მდინარეებს, რომლის წყალი ბუნებრივად არ იყინება. ამ მდინარეების სათავე იწყება: ერთის—სვირიდან და ეწოდება **სვირული**; მეორეს—რაჭიდან და ეწოდება **ხვანჭკარა**; მესამეს კი—ბაღდადიდან და ეწოდება **ზემოური.** ესენი მიემართებიან რესტორან ბორჯომის **ხეობაში.** მაგრამ ეს მდინარეები არ ჰყოფნით ქუთაისლებს; ამიტომ შედგენილია პროექტი ახალ მდინარის გამოსაყვანათ კახეთიდან მილის საშუალებით. მუშაობას ხელმძღვანელობენ ინჟენრები ჰირჰილაძე და ბოთლისფსკერიძე.

### ქუთაისლების საქმიანობა.

ქუთაისის უმრავლესი მცხოვრებნი ეწევიან კუჭის მეტად მნიშვნელოვან საქმეს: ვაჭრობას, მრეწველობას, მღლეტველობას, სპეკულიაციას, კომბინაციას, ქეიფობას, დროს ტარებას, უსაქმობას და სხვა.

ბაღის პირდაპირ არსებობს მოარშიყეთა ბიურო კვაჭი ხტუნიაშვილის თავმჯდომარეობით; აგრეთვე ქალთა ბიურო ლორიგანა კუდაბზიკაძის ხელმძღვანელობით. აქვე არსებობს მომღერალთა გუნდი შალიკო ყროყინაძის ლოტბარობით. ღამით ამავე ადგილზე მუშაობს ქუთაისელ ასტრონომთა ჯგუფი; აღმოჩენილია მრავალი ახალი ვარსკვლავი: მარო, თინა, ნინა, სონა და სხვა.

### ქუთაისის უმნიშვნელო *) მხარეები.

და ბოლოს უნდა ყურადღება მიექცეს ქ. ქუთაისის ყურადღება მისაქცევ

*) უნდა იყოს უმნიშვნელოვანესი.

კოწია ათას რამეს ფიქრობს:

თუ ეს ანტანტა გამოჩენილი პოლიტიკური მოღვაწეა, მაშინ პირველობას რათ აკუთვნებენ პუანკარეს, მუსოლონს, ბალდვინს, ლოიდ-ჯორჯსა და სხვებს?

ეგები ანტანტა ყველაზე მდიდარი ვინმე იყვეს დედა მიწის ზურგზე? მაგრამ ყველაზე მდიდრები როგორც ყური მომიკრავს არიან: როკფელლერი, მორგანი, ფორდი, სტინესი... ანტანტაზე კი არავის უთქვამს—ყველაზე მდიდარი კაცი ის არისო.

მაგრამ ეს დალუპული ანტანტა მაინც რომ ყველგან არის! გერმანიას ის ყვლეფავს, საბჭოთა კავშირს ის ებრძვის, ,პატარა ერები იმასა ყავს დაპყრობილი.

მაგრამ ეგები ანტანტა ისეთივე სწავლა არის როგორც კომუნიზმი, სოციალიზმი ან ფაშიზმი?

მაშინ ეს უნდა იყვეს—ანტანტიზმი.

ბოლოს ამდენსა სწერენ, ამდენსა ლაპარაკობენ ამ დასაღუპ ანტანტაზე და ერთხელ კი არავის არ აუხსნია, თუ რა არის იგი!

ასეთ გამწარებულ გუნებაზე იყო ამხანაგი კოწია; აღარ იცოდა რა წყალში ჩავარდნილიყო.

ამღვრეული გუნებით ადგა და ძველ გაზეთს დაუწყო კითხვა.

უცებ აქაც წააწყდა დეპეშას:

„მცირე ანტანტა“ ემზადება რუსეთის წინააღმდეგ“.

— როგორცა სჩანს დიდ ანტანტას ჰყოლია შვილი, ე. ი. პატარა ანტანტა.

— მაშ ადამიანის შვილი ყოფილა ეს ანტანტა!

მაგრამ მაინც საბოლოვოთ ვერ არის დარწმუნებული ჩვენი კოწია ამ აზრში.

უნდა როგორმე შეამოწმოს, თორმე სირცხვილია ასეთმა მოიტელიგენტე კაცმა ასეთი ცნობილი სიტყვის მნიშვნელობა არ იცოდეს!

გადასწყვიტა მიმართოს ამხანაგ სეფეს. თანაც სცხვენია, როგორ გამოამჟღავნოს ასეთი თავისი უცოდინარობა.

მაგრამ მოხერხებით სჯობია ისევ გამოსტეხოს.

მივიდა კოწია სეფესთან. დარდიმანდულათ შემოიდო ფეხი ფეხზე და სხვათა შორის ჩამოაგდო პოლიტიკაზე ლაპარაკი.

კაცო ეს მამაძაღლი ანტანტა რას სჩადის, ა? არ უნდა მოგვასვენოს რაღა!

— მართლა დიდი მამაძაღლი რამეა, ჩემო კოწია!

— იმისი შვილიც, როგორც ვატყობ, მაზე ნაკლები წუწკი არ უნდა იყვეს.

— რომელი შვილი?

— აი, პატარა ანტანტა, კაცო; არ იცნობ განა?

— ჰოო! რა საკვირველია, ისიც მამას ემსგავსება მაშ! „ზაქარია ციციშვილი, რაიც მამა—ისიც შვილიო“.

— ნეტა, ბიჭო, რამდენი წლისა იქნება ეხლა ეს ანტანტა?

— რა ვიცი! ალბათ კაი ხნისა უნდა იყოს.

— არც სიმდიდრე უნდა აკლდეს, როგორც ვატყობ?

— ჰაი, ჰაი, რომ ოქროც ბლომათ აბადია.

— დამავიწყდა... მუდმივათ სადა ცხოვრობს ისა?

— ეგ მეც დამავიწყდა; ცოტა მემკვიდრეობა ექნება დარჩენილი მამისაგანა თუ?



მხარეებს, რომლებითაც იგი განსხვავდება სხვა დანარჩენ ქალაქებისაგან.

ქუჩები და ტროტუარები თითქოს განგებ დახვრელილია, რომ გამვლელებს ფეხი (არ) დაუცდეს და კისერი (არ) მოიტეხოს.

განათება არ არის, რადგან სინათლე (აქაურების აზრით) თვალებისათვის მეტად მავნებელია.

ამ ჟამად დიდი თოვლის გამო მიმოსვლა სწარმოებს თივით გატენილ შაქრის ყუთებით, რომლებსაც აქაურები უწოდებენ მარხილებს; შიგ შებმულია გაძვალტყავებული ცხენები; (ეს იმიტომ რომ ჩქარა არ გაქანდენ და მგზავრები არ დაიმტვრენ).

ყოველ სახლის სახურავებიდან ქუჩებში მოწყობილია წვიმის წყალვარდნილები, რომლებიც გამვლელებს უფასოთ ჰბანს კისერს.

ერთი სიტყვით ეს ფრიად შესანიშნავი ქალაქი ჯერ კიდევ შეუსწავლელია და საჭიროა ეს ნაკლი ტარტაროზმა მაინც გამოასწოროს.

**ტარტაროზის აგენტი.**

---

აქ კოწია ცოტა შეფიქრიანდა: როგორღაც ეჭვი შეეპარა სეფეს ნამდვილ ცოდნაშიაც.

— კაცო რა გაძნელდა, ერთი ტერორი ვეღარავინ დაუნიშნა იმ ოხერ ტიალსა?! .

— ეე, ჩემო ძმაო! ვინ, იცის სასახლიდან ფეხსაც არა სდგამს კარში!

— ეჰ, ჩვენც სალაპარაკო გაგვიხდა რაღაც ეს ანტანტაა თუ რაღაცა ჯანდაბაა!

— მაშა! წავიდეთ ისევ ღომსა და ლობიოს შევექცეთ ისა სჯობია!

*
* *

წავიდენ ჩვენი კოწია და სეფე ლობიოს შესაქცევათ, მაგრამ ვაი ამ ჰამასა.

კოწიას სულ ერთიან მოეწამლა გუნება და ყოველ ლუკმასთან ერთად „ანტანტა“ ყელზე აღგებოდა.

ბოლოს აღარ იცის, როგორ გაიგოს ამ ანტანტის ვინაობა.

პირდაპირ ჰკითხოს ვისმეს, ქვეყანა დასცინებს, — აქამდის ნუ თუ არ იცოდიო!

არ ჰკითხოს და, ისევ ასეთ გამოურკვევლობაში უნდა იყვეს ყოველთვის.

მერე ხვალ ისევ უნდა გამოვიდეს მიტინგზე სიტყვით და „ანტანტას“ გარეშემო რომ არაფერი სთქვას, ისე რა მნიშვნელობა ექნება მის სიტყვას!

**ნადირი.**

# შარადა

დავბერდი კაცი, მაგრამ ჯერ
არ მიწერია შარადა.
ო, ეს ზამთარი მომბეზრდა,
გავიდეს ბარემ ჩქარადა.

შარადისათვის მჭირია
ერთი ყვავილის სახელი,
(გაზაფხულს წინა მოუძღვის)
ხელი მას ნაზად ვახელი.

ორი მარცვლისგან შესდგება,
(ადვილი ასახსნელია)...
შემდეგ [illegible]
ჭუჭყისა გამბანელია.

კერძო ვაჭართან ძვირია,
მუშკოპში კი იაფია, *)
ცხელ წყლით თეთრეულს თუ
გაჰკრავთ
იცის მრავალი ქაფია—

და ეს საჭირო საგანი
ექვსი ასოდან შესდგება;
წინ ორი და ბოლო ერთი
ასო არ გამოგვადგება.

პირველ ორ ასოს ეს სამიც
მიუსვით საჯვარისწეროთ.
ბოლოს ისევ ის ყვავილი
უკლებლად კვლავ მივაკეროთ—

უკვე მზად არის შარადა,
(მივიღეთ უცხო სახელი);
ეს სახელმწიფო მარადის
იყო საბჭოთა მზრახველი.

მაგრამ დღეს დადგა შუა გზაზე
მისი ჯიუტი ჯორია;
რა ექნა, ძირსა გადმოხტა,
გვიცნო ვით თანასწორია.

**მოწიფული.**

# ლევარსი როხროხაძე.

## ლევარსის დაბადება

ჩვენ პირდაპირ შეუდგებოდით ამ იშვიათ ადამიანის ცხოვრების და მოღვაწეობის აღწერას, მაგრამ არა ნაკლებ საინტერესოა მისი დაბადებაც.

ეხლა რომ ასეთი დაბადება მოხდეს სადმე, მთელ მსოფლიოს ეცნობებოდა ასეთი სენსაციური ამბავი რადიო-დეპეშებით; მაგრამ მაშინ მახლობელ სოფლების საზღვრებიც არ გადაულახავს ამ იშვიათ და საოცარ მოვლენას.

თემუყა როხროხაძის ცოლს ელპიტის ლევარსი დაებადა დაქორწინებიდან მეშვიდე თვეს, რასაც თემუყა მეტად იკვეხნიდა თავის მეზობლებში და ნაცნობებში.

---

*) რას ამბობ? არც ისე იაფია, შენ რომ გგონია; ალბად არ ხმარობ და ფასიც არ იცი. (წაიკითხეთ დღევანდელი ჩვენი: „მომხმარებელი).

ტარტაროზი.

— არა, ძმაო ჩემისთანა ყაჩაღი, ბევრის დედო მიწის ზურგზე. მეშვიდე თვეს გამოვაკვირჩხილებ ე ჩემს ელპიტიას მშვენ ერი ყაზილარი-ო.

მეტიჩარა სოფლის დედაკაცები, რომლებსაც თავისი მეზობლის არავითარი საიდუმლოება არ დაემალება, ასე ამბობდენ: ელპიტი ორი თვის ორსული იყო როცა ჯვარი დაიწერა.

ეს კიდევ არაფერია. ასეთი მოვლენა ეხლა უფრო მეტია, მაგრამ ლევარის დაბადება უფრო შესანიშნავი მით არის, რომ—იგი დაიბადა უკუღმა, ე. ი. დედის საშოდან ფეხებით გამოიყვანა მის მამამ.

როცა სოფლის ბიჭები ლევარსის დაცინვით ეტყოდენ: შენ უკუღმა დაბადებული-ო, ლევარსი დაიწყებდა მტკიცებას რომ ყველა ადამიანი, რადგან იგი დადის არა თავით, არამედ ფეხებით—უნდა იბადებოდეს სწორედ ისე, როგორც თითონ დაიბადა. (ჩვენ შემდეგ დავინახავთ ამ აზრის ჭეშმარიტებას თვით ლევარსის ცხოვრებიდან).

მაშინ გურიაში ასეთი ჩვეულება იყო: როცა ოჯახს ვაჟი შეეძინებოდა მაჭახელას ისროდენ. (ეს ჩვეულება ეხლაც საკმაოდ დაცულია).

თემუყა მაჭახელათ ხელში კარებთან იდგა და წამდაუწუმ ეკითხებოდა ბებია ქალს:

— ბიჭია თუ გოგოა, ბიჭია თუ გოგოა?—პატარა ლევარსი იგვიანებდა სავსებით გამოსალის. უკვე დაბნელებული იყო. მამას დაეკარგა მოთმინება, ვერ გაუძლო საყვარელ ცოლის კივილს და მივარდა.

— ნუ გეშინია, ელპიტი,—ანგუგეშა ცოლი და შვილს უსაყვედურა—შე მამაძაღლო, აღარ გეყო ამდენხანს მაქანე ყოფნა? რა დაგჩენია, რომ ამდენხანს ველარ გამიეტიე? რას ერჩი ამ დედაშენს, რომ მშიერ ტურასავით აკივლებ? გამოდი გარეთ და დამანახვე: ბიჭი ხარ თუ ციცაი.

აღელვებულმა თემუყამ სტაცა ხელი ფეხებზე პატარა ლევარსის, მაგრად მოსწია თავისკენ და ელპიტის შეკივლებაზე—ლევარსი სამშვიდობოზე გამოიყვანა.

— ბიჭია, ბიჭია,—შეიძახა თემუყამ, ახლად დაბადებული ბებიას ჩაუგდო კალთაში, გარედ გამოვარდა და მაჭახელა გაისროლა.

— ერთი სულელი კიდევ მიემატა ჩვენს კუთხეს—თითქმის ყველა მეზობლებმა ასე სთქვეს, როცა თოფის სროლა გაიგონეს.

— ბიჭია, ბიჭია... ბიჭი გყავს ბადიში—ამ სიტყვებით მირბოდა თემუყა სამზარეულო სახლში, სადაც მისი მოხუცი დედა ლომლომას ამზადებდა მელოგინესათვის.

თემუყამ ფეხი წამოჰკრა რაღაცას.

— ვინ დააგდო აი ჯინკი აქანა?—და მოინდომა ჯინკის გადაგორება, მაგრამ, ოი უბედთრებავ!

მის მაჭახელა სამზარეულო სახლიდან მომავალი დედა მოეკლა.

თემუყა მიხვდა და დაჭრილ დათვსავით მორთო ყვირილი:

— ნენავ, რა მიქენი აი? სული ისე სად გაგეპარა, რომ ერთი არ ამოგიკვნესია ისე მოკვდი? რამდენი ხანი სცოცხლობ და არ მომკვდარხარ; ახლა რამ მოგკლა ნენა? მარა, არა უშავს... ერთი მოკვდება, მეორე დეიბადება—ასეა ქვეყანა...

დიდი მწუხარება გამოიწვია ამ ამბავმა თემუყას ოჯახში. ელპიტიც სწუხდა, თუმცა გულში მეტად უხაროდა. მაგრამ მალე ყველა გამხიარულდა, როცა შემოქმედის მონასტრიდან ჩამოსულმა ბერმა ასე სთქვა:

— ნუ დაღონდებით; მერე რა უყოთ, რომ ასე მოხდა... იმ ღამეს, როცა ალექსანდრე მაკედონელი დაიბადა, სულელმა ჰეროსტრატემ დასწვა მშვენიერი ტაძარი, რომელიც შემდეგ ისევ ააგო ალექსანდრემ.

ჭეშმარიტად, ახლად დაბადებულიც სწორედ ალექსანდრესავით დიდი კაცი გამოვა.

— აგი მეც ვიცი, მარა, ხომ იცი მაინც რაცხა გეწყინება, როცხა დედაი მოგიკვდება, თვარა ჩემი შვილი რომ დიდი კაცი იქნება, მაგას არ უნდა ლაპარიკი. კამეჩის ხელა თავი აქვს და სულ ტვინით გატენილი ექნება.

— კი მარა—დაილაპარაკა ვიღაცამ — ალექსანდრე მაკედონელმა ისევ ააგო ის მშვენიერი ტაძარი და მაშ ამ მიცვალებულსაც გააცოცხლებს შემდეგ ახლად დაბადებული!

— თუ კი ქრისტე აცოცხლებდა მიცვალებულს, ვითომდა რა იცი, რომ ჩემი ბიჭი ქრისტეზე ნაკლები იქნება და მის ბებიას არ გააცოცხლებს?

ლევარსის ამ სიტყვებზე ყველამ ქვეშ-ქვეშ ჩაიხითხითეს.

(გაგრძელება იქნება).

**ჭინჭარი.**

# სტუდენტის დღიურიდან.

ჩემი სახლი გამასწორებელ სახლს ჰგავს, (თუმცა მე გასწორების მაგივრად გაჭივრებით წელში მოვიხარე).

ღამით ყინვა თავის აზრებს მის ცოცხლად დარჩენილ ფანჯრის მინებზე ჰქარგავს უფერულ ყვავილების მზგავსს.

არა მგონია ეს თებერვალი მშვიდობიანად გადავიტანო. მე წარმოდგენილი მაქვს, რომ ერთ მშვენიერ დღეს დილით გაცივებულს და კბილებ დაკრეჭილს გამიყვანენ ოთახიდან.

მამა ჩემმა ჯამაგირი მომისპო, რადგან მისი ხაზინა კარგა ხანია გაკოტრებულა და დაცარიელებულა.

დავდივარ ქალაქში გარისხულ ანგელოზსავით. მოუპარსავ წვერს (დაქვრივებული ვარ ფულით) ცივი ქარი დაქცეულ ყანასავით აქანავებს. კიდევ კარგი რომ დეზერტირებს არავინ იჭერს, თორემ მე, რადგან ობერ-დეზერტირს ვგავარ—დამიჭერდენ და უდიდესი სასჯელი არ ამცდებოდა.

ჩემი ძველი შინელი უკან იმდენზე გაიხა, რომ კავალერისტი ვგონივარ თუ ზურგიდან დამინახეს.

სადაც გავიხედავ ყველგან მევალეები მელანდებიან. საწყალი მეთორნე დაღრეჯით მიყურებს; არ უნდა პური კიდევ მანდოს, მაგრამ თანაც ეშინია და უარს ვერ მეუბნება: ვაი თუ სიმშილით მოკვდეს და ძველი და ახალი ნისია ორივე დამელუპოსო.

ჯოჯოხეთს ერთი ნუგუზალი აკლდა და ისიც მიუმატესო—ასე მომივიდა მეც. ჩვენს ეზოში მცხოვრებთა აღმწერი ინსპექტორი ყოფილა და უთქვამს ჩვენზე (მე და ჩემს ამხანაგზე): სტუდენტობის მოწმობა თუ არ წარმოადგინეს—დაიბეგვრებიანო.

თუ დაბეგვას კი გადაურჩი, დაბეგვრის არ მეშინია, რადგან არაფერი მაქვს, რომ წაიღონ.

„სწავლის ძირი მწარე არის კენწეროში გატკბილდების"-ო—ამბობს დავით გურამიშვილი.

მაგრამ ჩემს სწავლას რომ ეხლა უხმება ძირი, კენწეროში რაღა გაატკბილებს?!...

**ღარიბი.**

# სილუეტები.

მიდის ამაყად, ირიბულად არ იხედება.
სალამს აძლევენ მოკრძალებით ვინც კი შეხდება.
სახე მრისხანე, სახე ცივი დრამას სწერს გზაში.
მას არ ექნება არასოდეს სითეთრე თმაში.
მიზანტროპია: სიყვარული არ არის მასში.
არ ქართველია, რომ არ ვარგა კახურის სმაში.

ეს ვინ იქნება, რომ ესტუმრა შეითან ბაზარს?
მაცდური ენით უცოდველ ქალს გაუჩენს ხანძარს;
შეუცოცდება, როგორც თაგვი, კაბის ქვეშ ნელა.
მეცხვარესავით უყვარს სტვენა მას უდარდელათ.
უკან, ზურგს ქვემოთ (ზაფხულობით) დაიწყობს ხელებს.
ყარაჩოღელი ორთაჭალის აყრუებს ველებს.

აგერ ტარიელ, ყაფიალდი და ფალავანი.
ტარზანს ჩამოჰგავს—ვერ დაიტევს მას გალავანი.
ფეხზე ჰკიდია ქვეყანა და მისი სიმძიმე.
უფრო სუქდება და ეტყობა მუცელს სიმსიმე.
ო, დაიხსენით პოეტობის მწარე სენიდან;
იმარეთ მისგან, რომ ექსპრომტებს იტყვის სცენიდან.

არის ოთხფეხი და დიდ ყურა (მიხდებით ყველა).
ამ ცხოველს ხ ირად ემართება სენი რამ ხველა-
თორმეტ საათზე ის გახდება დიდი ხმოსანი
და მის ხმაურზე ამღერდება ერთი მგოსანი.

თავზე: ცილინდრი, ხელში: ტროსტი და ხელთათმანი,
პირში: სიგარა; ვექიტალით თავი აქვს სველი. . .
ასე მგონია, ყოველ ღამით აქვს პაემანი. . .
უცხოელია სოლოლაკის ნემეც-ქართველი.

„ვიზინტი".

# მესტვირული.

გავბერე [illegible]
მე ტარტაროზი გმირია.
ზედ დავამღერე რაჭულად
ავაპიპინე სტვირია.

ტარტაროზს მინდა ვაცნობო
ოკრობის გასაჭირია,
იქნებ ოდესმე ისურვოს
რომ ჰქნას ჩვენკენაც პირია.

ჯერ ვესტუმრები ფაფხაძეს,
დარბის ლი კაცია,
არის მკერვალიც, დალაქიც
„სლესარი" ექიმბაშია,
მაგრამ ამას კი ვერ ვიტყვი
თუ რამე უდევს თავშია.

ტყიბულელ ვაჭართ-ჩარჩებში
მ ხაკო ყველას თავია.
ოკრიბელ მღვდებს და გლეხებს
ბლომად აძრო ტყავია.

აქ შურა მანაგაძესაც
აღარ დავსწყვიტოთ გულია,
თუ გადაურჩით, არ გვცემა
და შეგვ რჩინა სულია.

ტყიბულში ქალებს „უთაქა"
(ნამდვილი „ტარიელია")
და აწ კი ყველას ჰპირდება,
თუ არ შეუკრეს ხელია.

ეხლა ეს კმარა, შევჩერდი
და შევინახე სტვირია;
მარტო დღეისთვის არ მინდა,
მომავალშიაც მჭირია.

ოკრიმელი რქიანი.

# საქულას ჩივილი

უბედურ კაცს ქვა აღმართში დაეწევაო რომ იტყვიან, სწორედ ეს არის.

მახლას!. ჩემი სკლადის პატრონი მტკვრის პირას უნდა ეძებდეს ნარიყალას? ვითომ რა დავაშავე ღმერთის წინაშე, რომ ასე მსჯის. თელეთობას არ დავკლებივარ, სუფსარქისის მარხვა არ გამიტეხნია; ერთი სიტყვით ღმერთის წინაშე ცუდი არაფერი მიმიძღვის..

დაილოცა შენი სამართალი; კარაპეტას ლაწირაკი ბიჭი უნდა ვაჭრობდეს და საქულა პოსლედნი კაცი იყოს? აფსუს, მე საქულა, პერვოი გილდის კუპეცი მაღაზიეების და სკლადის პატრონი, ამ სიცივეში კაპჩიონი ტარანივით უნდა ვიყინებოდე?

მოდიანო... ყელებს დაგჭრიანო...

ვირის თავო, ამ ქალაქში მარტო შენ ხომ არ ხარ—რა გაშინებს ავყევი ფეხის ხმასა და მთელი საცხოვრებელი ბონებზე გავყიდე. მერე და ის ოხერი ბონები სეტყვასავით ეცემოდენ.. ბოლოს, მთელი ბონებით ერთი ფუთი პურიც ძლივს-ღა ვიყიდე... ვა, სად იყავ ჭკუა, რომ ამ სიცივეში ჩემი შეშა მისხლობით გამეყიდა. იმ დღეს ყინვები დაიწყო. ამბობდენ რაღაცა ციკლომია-უნდა ქვეყანა დაიღუპოსო. მე გამეხარდა ჯანაბას თუ დაიღუპება, მე ხომ მაინც ვიყინებითქო. შემდეგ მეორე ციკლომი გაფრენილა, უცბად ამინდი დათბა, ოვანესა ამბობდა—უნდა წყლის წარღვნა მოვიდესო.. ეხლა ისევ პირველი ციკლომი მოფრენილა.. არა, კარგია შენმა მზემ. ეს რაღაც ციკლომია დაფრინავს და შენ კი გაიყინე. აფსუს! ძველი დრო უნდა იყოს, რომ მიტკა აკალოტოჩნიკს საში მანეთი ჩაუდო და მაშინ ენახავდით როგორ იფრენდა; ვგონებ ისეთს ზალპს ასტეხდა, რომა არსენალის პუშკებს aაფეთქებდა.. მახლას... ვაი, ვაი, საქულა, ეს რა დრო დაგვიდგა.

კუდა-მელა.

# ანდაზების ძღვენი.

**ქალაქის ალმასკს.** ბინების საკითხ ს შესახებ ამხ. ასრიევმა შეადგინა ტეხნიკის უკანასკნელ მიღწევებთან შეფარდებული ოქროს ფეხებიანი საბინაო დეკრეტი, მაგრამ საქმეს მაინც არა ეშველარა.

„აქლემმა სთქვა: ორმოცი კოზაკი გავზარდე, მაგრამ მე ტვირთი ვერცერთმა ვერ ჩამომხადაო".

—

**ლავ. მახარაძეს**. (ქიათურაში გასამართლებისას გმნაცხადა: თუ მცოდნოდა, რომ ბოლშევიკობა დამყარდებოდა მე ნიკოლოზის დროსვე რევოლიუციონერობაში ვერავინ მაჯობებდაო).

„თუ მცოდნოდა, რომ მგელი ციდან ჩამოვარდებოდა — ჩემს ძაღლს გულდმა დავაწვენდიო. უთქვამს მეცხვარეს".

—

**ტრედუნიონების დელეგაციას.** (ბრიუსელში მეორე ინტერნაციონალის ბელადები ინგლისის დელეგაციის წევრებს უმტკიცებენ, რომ ყველაფერი მათი ნათქვამი სულ ტყუილიაო).
„ქმარი ლაშქრიდან დაბრუნდა და და ცოლი ამბავს მოუთხრობდაო".

—

**დურუჯს.** „ცა ქუდათ არ მიმაჩნია, დედამიწა ქალამნათა".

—

**არალეგალურ მენშევიკურ ცეკა.** „ასი ურტყი დავითასა, მაინც იტყვის თავისასა".

—

**ს. დევდარიანს.** „დავბერდი დავჩაჩანაკდი, წვერი შემექნა ჭაღარა. ბატონსა მოვეძულებივარ, პატრონს ვუნდივარ აღარა! არც ისე დავბერებულვარ— ვერ დავაყვირო ნაღარა!"

—

**ტრესტებს.** „კარგი ხარ კარის მამალო, რომ არა გჭამდეს ქათამიო".

—

**მარჯანიშვილის.** „ერთხელ მახათის მთაზე მცხოვრებსაც დასჭირდა მახათიო".

—

**მსახიობთა ამხანაგობას.** (ერთი მაყურებელი ამბობს: მსახიობები საუცხოვოდ თამაშობენ, პატივისცემაც დიდი აქვთ მოპოვებული საზოგადოებაში, მაგრამ ჯერ რიგიანი პიესების არჩევა ვერ მოუხერხებიათ.) „ფონი კარგია, მაგრამ ერთ ადგილს აღრყობსო."

—

**ყანწელებს.** „ვინც რა უნდა სთქვასო, წისქვილმა კი ფქვასო!"

—

**პროვინციის კოოპერატორებს.** „თაფლი ვისაც უდგა, თითსაც ის ილოკავსო".

—

**სან**— „ქვეყანა იქცეოდა, ქლიბაძე ბუქნას უვლიდაო".

—

**წითელ სახადილოებს.** „თუ თვალმა არა სჭამა, გული ვერა სჭამსო".

**ნარი.**

# რამე-რუმე.

— რა გაქვს ბიჭო, მაგ თოფრაკში.
— კამანდირის პაიოკი მიმაქვს.
— „დენჩიკი" ყოფილხარ აბა!
— მაგ სიტყვიზა პასუხს მოგთხოვ რომ მოვინდომო, იცი თუ არა შენე?
— მომთხოვ, თვარა ამერიკაში წავალ პასუხის მოსატანად. თვითონ სად არის ის კამანდირია თუ რაცხაა?
— იგი ახლა გაიარა ცხენით.
— ნეტავი შენ, იქიდან ცხენით წამოჯლიგინდები.
— ცხენის უკან წამოსაყვანათ მეორე წითელარმიელი წაიყვანა.

***

— კაცო, რომ დაგილია პირი და დახეტიალობ გამოგდებულ ოფიცერივით; საქმე არა გაქვს თუ რავაა შენი საქმე?
— იმდენი „ტუნი"-ს გამგეს მიემატოს, რამდენი საქმეც ჩემს მაგიდაზეა არეული საშობაო უქმეებსავით, მაგრამ რა ვქნა,—თონის პურივით ვარ ატუზული და ბინას უცდი.
— არა, ძმაო, მაქედან ვერაფერს გახდები; ისევ მაკლერებს მიმართე და ოცდათოთხ საათში ჩემბერლინისავით გამოგჭიმავენ დიდებულ ბინაში.

***

— ვერა, შენი გაცნობის შემდეგ ისე ქანაობს ჩემი გული, როგორც ჩვენს ფანჯრებზე მინების მოადგილეთ გაკრული ქაღალდები. შენ რომ გხედავ ეგრე გაბაგინებულს ხმალაძის ცხენივით, სულ ვიშლები მუშათა სახლების „შტუკატურკასავით"; ოღონდ შენ ჩემი გახდი და სიკვდილამდე არ გიღალატებ, თუ გინდ ხვალვე მომისპოს ფილიპემ სტეპენდია.
— გენაცვალე მაგ კოკლოწინა ხარაბუზა ულვაშებში. ოღონდ შენი სიტყვები წრფელი გამოდგეს და ლექტორები სულაც ნუ მოვლენ ლექციებზე. (ჯერ ხომ დღიურად ექვსის მეტი არ აკლდება). თუ კი დავასრულეთ ჩვენ მუშფაკი (თუმცა იმედი არა მაქვს), გაძლევ თავდებად მაღლა ცას და ძირს „ევკოგრუზის" ბამბანიორკებს (თუ ებრალიძე დასთმობს), რომ მკვდარიც შენი ვიქნები.

**ჩესმაგრუზალა.**

# დეპეშები

(ტარტაროზის საკუთარ კორესპონდენტებისაგან)

**ჭიათურა.** პავლეს დათრობამ მშვიდობიანად ჩაიარა: გარდა ხუთმეტ კაცისა დედა არავისთვის „შეუკურთხებია."

ამბობენ, რომ პავლეს ადგილკომიდან ფხიკი უქნესო (მიუხედავად იმისა, რომ იგი მეოთხე თანამდებობას ეპოტინებოდა). ეს რომ სიმართლე არ იყოს, უეჭველად სიცრუე იქნებოდა.

**იქიდანვე.** „აკადემიურ" თეატრში დამსწრე ხაზოგადოება ან სულ არ ესწრება, ანდა თუ ესწრება საბნებ მოხურული მოდის. თეატრის გამგე გაზაფხულზე ფიქრობს ღუმელების დადგმას და ამ ზამთარში რაღა შეგვაცი ებს.

**აპჩხი.**

**ქუთაისი.** ადგილობრივ სპეცებს მეტისმეტი ჭამით გაუჩნდათ დიზენტერია, რადგან დღეში შვიდჯერ სჭამენ სხვა და სხვა საჭმელებს. ექიმების გადმოცემით მოსალოდნელია კიდევ სხვა ავათმყოფობა—კუჭის კიბო. ეს ავათმყოფობა გაუჩნდება მუშა—მოსამსახურეებს, რომლებიც მცირე ხელფასის გამო ნახევრად მშივრები არიან და დარდს სვირის ღვინოში აღრჩობენ. ამისათვის საავათმყოფოში საჭიროა ფარმაცევტის შტატის გადიდება, რადგან ერთი აფთიაქის მოხელე ვერ ასწრებს სამ ექიმის გამოწერილ რეცეპტებს.

**ტარტაროზის შვილებული.**

**ჭიათურა.** ზოგ ღვდლებმა ანაფორა წელამდის დაიმოკლეს, თმა და წვერულვაშები შეილამაზეს და მოეწყვენ სხვადასხვა დაწესებულებებში, უმეტესად კი განათლების დარგში. განათლების ისპექტორმა ნიკიამ თავისი ქვისლი ხუცესი შვიდ წლიან შრომის სკოლაში მასწავლებლად დანიშნა.

**ქაქუჩა.**

**სოფ ნიგვზიანი.** თითეულ ოჯახში, რადგან დღესასწავლები გაითენეს ორივეს სტილით (ძველით და ახალით), დახარჯულია 250 ვაზნა. აქედან ახალ სტილს ხვდება 25, ხოლო ძველს 225.

— გლეხკომის ანგარიში დასრულდა. საწევრო თანხიდან გლეხებს ხვდა 15%, ხოლო რწმუნებულებს 85%.

— ამ ჟამად გლეხკომის სასადილო გაძაკეთებულია და გადახალისებული. მთავარ პოვრად მოწვეულია ნამესტნიკის ყოფილი პოვარი ბ. ჭყონია. სხვადასხვა საჭმელები კეთდება ერთ ქოთანში.

—ნიგვზიან-ჯურუყვეთის გლეხკომის გამგეობამ ბანკეტზე მადლობით დააჯილდოვა სპეცები და ბოლოში მოიხადა, რომ ნავაჭრი თანხიდან ნახევარზე მეტი ვერ მისცა

— „ეპომ" მიიღო დიდი ძალი პარფიუმერია. ლიზიკოს ხათრისთვის თავჯდომარე ლორიგან დუხებს გადმოსხმითაც ჰყიდის.

**იქიდანვე.** ჯუმათის სადგურს ეწვია ექიმ-პროვიზორი ა. ვადაჭკორია, რომელმაც წაიკითხა ადგილობრივ სამიკიტნოში ფართე ლექცია ორგანიზმისათვის სპირტის სარგებლობის შესახებ. მაგალითი მოიყვანა თავის თავზე.

**იქიდანვე.** მოქალაქეებს ეკრძალებათ საღამოს ათ საათიდან დუქნებში შესვლა, რათა ძილი არ დაუფრთხონ ცხელ ბუხრებთან ღამის დარაჯებს.

— სამკითხველო გაზეთს არ ღებულობს შემოდგომიდან გაზაფხულამდე იმიტომ, რომ სამკითხველოში ბუხარი არ არის და ერიდებიან „კლიენტების", გაციებას.

— რესტორანებში მოქეიფეებს აკრძალული აქვთ მეხუთმეტე ჩაის ჭიქით დალიონ რევოლუციის ბელადების სადღეგრძელო, რადგან ეს სადღეგრძელო ეკუთვნის მერიქიფეებს

**ხუშტური.**

**ზუგდიდი.** „ეპოს" სასადილოში სადილ-ვახშამის მოსამსახურეებზე გაცემის წესი ასეთია: პასუხისმგებელ თანამდებობის პირთ სადილი მიეცემათ უფასოთ, ხოლო დაბალ მოსამსახურეებს ამ ხარჯების დასაფარავად გადახდებათ ორმაგი ღირებულება.

— თანახმად ადგილობრივ პედაგოგ კ. თ...ის მეთოდისა, მასწავლებელი კვირაში ექვსჯერ მაინც უნდა თვრებოდეს.

**მაზაკვალი.**

**დიდი ჯიხაიში.** ადგილობრივ მიკიტნებმა და სირაჯებმა დაადგინეს ერთდროულად დაეხმარონ წარმოკავშირს 10.000 მან. რაოდენობით ღვინის შესაძენათ და იაფ-ფასიანი სასადილოს მოსაწყობად.

— როგორც „ბოროტი ენები" ამბობენ სასოფლო სამეურნეო ბანკის გამგეობას ბანკში მიღებული ფული გაუნაწილებია ყოფილ თავადებზე და სოფლის კულაკებზე.

ამის გამო აკაკის, ლავრენტის, მიხაკოს, ალექსანდრეს, პეტრეს და 17 კანდიდატს შუამდგომლობა აღუძრავს ტარტაროზის წინაშე, რათა პასუხისგებაში იქნენ მიცემულნი „ბოროტი ენები" „ჭორების" გავრცელებისათვის.

— სამკითხველოს დათვალიერების დროს წიგნები საკმაოდ აღმოჩნდა. ყველაზე მეტია „სადვთო რჯული" და „ყარამანიანი".

— პარტკომმა დიდი ჯიხაიშის კოოპერატიულ გამგეობას უვადო შვებულება მისცა კოოპერატიული ჭლექის განსაკურნავად.

წარმოკავშირის გამგეობა იწვევს მეზღვაურებს, რათა მოაწყოს გემებით მიმოსვლა წარმოს სასადილოში.

**ბაბაიკა.**

**ბითომი.** ვინაიდან ქართულ წარმოდგენის მოსმენა ბათუმელ ქართველ მუშებისათვის „ფუფუნების საგანს" წარმოადგენს, ამიტომ აჭარისტანის სახ. გან. კომისარიატმა გადასწყვიტა წელს აკადემიურ თეატრში არ იყოლიოს ქართული დასი, რასაც ცხოვრებაში დიდი სიმტკიცით ატარებს.

— რესტორან „ტილიპუჭურში" გაიხსნა საზოგადოება „ყაფაიალდი"-ს ფილიალური განყოფილება, რომელმაც ოზურგეთიდან (ყაფიალდელთა ცენტრია) მიიღო სათანადო ინსტრუქციები. წესდების თანახმად წევრები შეუდგენ მაგარ სასმელების განადგურებას.

— როგორც ხმები დადის „აჭარპრომტორგის" სალარო, რომელსაც ვალების სიმსუქნე ემჩნეოდა, „ავანსის ავათმყოფობით" მძიმე ავად გახდა. ექიმების აზრით მდგომარეობა სერიოზულია.

— ქალაქის კომ. მეურნეობის ძველ საბინაო სამეულის ორი წევრი თავისთვის ენერგიულ და ნაყოფიერ მუშაობისათვის უვადო შვებულებაში გაისტუმრეს.

**მ—უზა.**

**ძირულა.** კოოპერატივ „მუშა და გლეხი"-ის გამგეობის თავმჯდომარემ გრ. მომცემლიძემ გახსნა არშიყობის და ლოთობის სამთვიანი კურსები. ლექტორებად მოწვეული არიან ადგილობრივი მცოდნე და დამსახურებული სპეციალისტები. პრაქტიკული ვარჯიშობა სწარმოებს ყოველდღიურად თვითონ მომცემლიძის ხელმძღვანელობით კოოპერატივის გამგეობის კაბინეტში და ოოპ. სალაროში. ამავე კურსებთან არსებობს სასპორტო წრე, რომლის გამგეთ მოწვეულია მოქ შალ. ებანოიძე.

—სიმართლეს მოკლებულია ხმები ადგილობრივი ალმასკომის თავმჯდომარის და მისი კაბინეტის უგზო-უკვლოდ დაკარგვის შესახებ. ამჟამად იგი ისევ განაგრძნობს თავის თანამდებობის ასრულებას, ხოლო კაბინეტი მას დღესაც ვერ მიუგნია და გამალებით ეძებს ღვინის სარდაფებსა და სასადილოებში. საქმეებისთვის მიმართეთ „წითელ სასადილოში" 9—2 საათამდე.

ადმინისტრაციის განკარგულებით საიდუმლოდ **შეამცირეს** რიცხვი ბაქანის გასანათლებელ ლამფებისა მოსალოდნელ თვალების ავადმყოფობის თავიდან ასაცილებლად.

**ოთარ-ბეი.**



ეროვნული ბიბლიოთეკა



შეიკრიბა მორწმუნენის
საგანგებო სასამართლო;
იმათ შორის მონაზნები
ისხდენ როგორც საპატარძლო.

„მეტად მკაცრი“ სასამართლოს
თავმჯდომარედ იყო თედო.
„წმინდა მამას“ ღვთის რწმუნებულს
„მითვისების“ ბრალი ედო.

კრებამ დაჰგმო და გაჰკიცხა]
ეკზარხოსი ქრისტეფორე.
(ხა-ხა-ხა-ხა... ვისლა უნდა
ან ერთი და ან მეორე.).

---


## ტარტაროზის მიერ გამოცხადებულია კონკურსი

**ყველაზე უფრო ცუდ:** ალმასკომზე, გლეხკომზე, გზებზე, სამაზრო ქალაქზე და კოოპერატივზე.

**ჯილდოთ მიეცემა:** ალმასკომს—ყოფილი მამასახლისი თავმჯდომარეთ გლეხკომს—ყოფილი სოფლის მწერალი თავმჯდომარედ.

გზებს—დამტვრეული ურმები, დახოცილი ღორები, ქათმები და სხვა საქონელი გზის ამოსაკირწყვლად. სამაზრო ქალაქს—გუთნები დანგრეულ ქუჩების მოსახნავად. (კიდევ იქნება დამატებითი ჯილდო). კოოპერატივს—ყოფილი სპეკულიანტი თავმჯდომარეთ, ყოფილი მეწვრიმალე ნოქრათ და ყოფილი ინტენდანტი (მნე) ბუჰხგალტრათ.



გულდათუთქული და გაუბედურებული **ბათომის კომუნალურ მეურნეობის მუშა-მოსამსახურენი** ვაუწყებთ ნაცნობ-მეგობრებს, რომ კუჭის კატარის და წელების ანთების გართულობის ნიადაგზე მძიმე და ხანგლივი ავათმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

## ბათომის კომუნალურ მეურნეობის სალარო.

შედგენილია დამკრძალავი კომისია ლ. ქორქაშვილის თავმჯდომარეობით.

დასაფლავების დღე ცალკე იქნება გამოცხადებული.


მთავლიტ. 152 ამიერ-კავკასიის რკინის გზების სტამბა-ლითოგრაფია. ტირაჟი 9.000